

ქალაქ ქუთაისში, ხარეზავას ქუჩა N23 საცხოვრებელი სახლის N40 ბინაზე,
მოქალაქე ირმა სანიკიძისათვის საკუთრების უფლების მინიჭებისა და
მოწმობის გაცემის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მერიამ განხილული იქნა გციბული, სოფ.სამგრელიაში მცხოვრები მოქალაქე ირმა სანიკიძის წარმომადგენლის მაკა გვენცაძის განცხადება /2012 წლის 07.08 Nგ-6325/, რითაც ითხოვს საცხოვრებელ ბინაზე /მდებარე ქალაქ ქუთაისში, ხარეზავას ქუჩა N23 საცხოვრებელი სახლის N40 ბინა/, საკუთრების უფლების მოწმობის მოქალაქე ირმა სანიკიძის სახელზე გაცემას.

წარმოდგენილი მასალების, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის 39-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, 65² მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი /იზოლირებული და არაიზოლირებული/ ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის N73 ბრძანებულების თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქალაქ ქუთაისში, ხარეზავას ქუჩა N23 საცხოვრებელი სახლის N40 ბინაზე, საკუთრების უფლება მიენიჭოს მოქალაქე ირმა სანიკიძეს.

2. ქალაქ ქუთაისის მერიის საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახურმა /ვ.აბულაძე/, ქალაქ ქუთაისში, ხარეზავას ქუჩა N23 საცხოვრებელი სახლის N40 ბინაზე /საერთო ფართობი 67,49 კვ.მ, საცხოვრებელი ფართობი 28,49 კვ.მ, დამხმარე ფართობი 39,00 კვ.მ./ მოქალაქე ირმა სანიკიძის სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.

3. ბრძანების შესრულების კონგროლს ვივალებ პირადად.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქ.ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრაძის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქ.ქუთაისის მერის მოადგილე,
მერის მოვალეობის შემსრულებელი

ი.ჯიქია